

სოლომონ ლეონიძეს

ბრძენო, ენამზე, დიდო ქართველო,
სამშობლოს აზრის გამომკვართველო!
ახლაც თავს მადგა შენი აჩრდილი,
თითქოს ხმალი გაქვს გულში გაჩრილი...
მესმის ნაცრემლი შენი ძახილი -
ქართლის ცხოვრების ძველი საყვირი:
- სამშობლოს ცრემლი ვინ დაიგუბოს,
თუ მზეერ გმირს, მოსილს შავის ტილოთი -
ძველ საქართველოს, ერეკლეს კუბოს,
მცხეთის ტაძარში შენ დასტიროდი:

სად დაჰხედ, მზეო, სად იძირები.
რად შემოიხსენ, სამშობლოვ, ხმალი==
ნუთუ გათავდა, გავიწირენით==...
ყელიდან სიმწრის გდიოდა ალი.

სად დაჰხედ, მზეო, მბრწყინაო მუდამ,
ოქროს სარკმელი ვინ დაგიკეტა==
გმირი სახეზე იხვევდა სუდარს,
დასამიწებელ საფლავს იგებდა...

ეს კუბო არის ქართლის დამტევი
და მასთან ქართლიც თუ დაიღუპოს,
ამ ცხედრის კუბოს ფიცრად დამდევით,
დადგით ჩემს გულზე ერეკლეს კუბო!

ამიერიდან მოვკვდე ვისათვის,
და ვიღას დროშას მე ვემსახურო==
ვაი, იმედის დამარხვისათვის;
ვაი, მომავალო, ვერ დანახულო!

გეპასუხები ბრძენსა და პოეტს
დიდი აწმყოდან შენსკენ მზირალი,
ჩვენ წინაპართა ძეგლი ვიპოვეთ,
აღსდგა სამშობლოს ლომი მყვირალი!

მე ლეონიძე, ახალ ქართლს ვუმდერ
მივყივი ძღვათა სანაპირომდი,
მე აქ ბრწყინვალე დიდებას ვუმზერ,
სისხლის ცრემლებით სადაც სტიროდი!

და თუ ლექსში სჩქევს მარად მშვენივრით
სიცოცხლის-ძალთა ტკბილი ჟღერანი,
მისთვის, რომ მიჰქრის შეუსვენებლივ
ფაფარგაშლილი ქართლის მერანი.

რომ სამშობლოს გულს შემოადუღა
ახალი ცეცხლი ქართლის გენიამ,
მორჩა, რაც თქვენმა ცრემლმა დამდულრა
და, წინაპრებო, რაც თქვენ გტკენიათ,